გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონში

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“

ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 მარტს გატარებული ცვლილებებით, განისაზღვრა დამოუკიდებელ ორგანოდ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელიც ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას. იგი, სხვა, კანონით განსაზღვრულ ფუნქციებთან ერთად, ზედამხედველობას უწევს მზღვეველის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას და უფლებამოსილია შეამოწმოს ზემოაღნიშნული, ასევე შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და სხვა მასალები, შეუძლია მზღვეველისაგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია, როგორც დისტანციურად, ასევე ადგილზე გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად განსაზღვრულია სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების წესი, სადაც აღნიშნულია, რომ მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. ამავე კანონის მე–5 მუხლი განსაზღვრავს იმ

გამონაკლის ორგანოთა ჩამონათვალს, რომელზეც არ ვრცელდება ზემოაღნიშნული მოთხოვნა.

აღნიშნულ მუხლში, კანონის მიღებისთანავე (ანუ 2001 წელს) ერთ–ერთ გამონაკლის ორგანოდ განისაზღვრა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ზემოაღნიშნული სამსახურის ლიკვიდაციისა და მისი ფუნქციების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შეთავსებისას, შესაბამისი ცვლილება გატარდა ზემოაღნიშნულ კანონში (2007 წელს) , და სწორედ ეს ორგანო განისაზღვრა მზღვეველის ადგილზე შემოწმების უფლებამოსილების მქონე ორგანოდ მოსამართლოს ბრძანების გარეშე. 2009 წელს, დაზღვევის ზედამხედველობის ფუნქციები შეითავსა ეროვნულმა ბანკმა, ეროვნულ ბანკს თავის მხრივ გააჩნდა მსგავსი უფლებამოსილება და კანონში განისაზღვრებოდა, როგორც ორგანო, რომელიც მოსამართლოს ბრძანების გარეშე ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს, რაშიც ავტომატურად მოიაზრა სადაზღვევო საქმიანობაზე კონტროლი.

დღეის მდგომარეობით, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური მოქმედებს, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის სამართალმემკვიდრე დაზღვევისა და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში.

შესაბამისად, გამომდინარე ზემოთქმულიდან, უნდა გატარდეს შესაბამისი ცვლილება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონში და გამონაკლისი უწყებების იმ ჩამონათვალს, რომელიც მოქმედებს მოსამართლოს ბრძანების გარეშე, უნდა დაემატოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპრექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ზეგავლენას არ იქონიებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება და იზიარებს ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროფესიის წამყვანი სპეციალისტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი